ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 21
17/07/2020

21-04-4-202007171332

„ „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 20 ივლისი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 22 ივლისი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელმა - ჰამიდა ზოიძემ.
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე